

კულტურისა და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების მართვის სისტემა

ნაირა ღვედაშვილი — შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი

Culture and art organizations management system

Naira Gvedashvili

Summary

Any organization is established to accomplish something. Culture and art organizations have specific goals, which are related to products, presentation, propagation or education. This pragmatic approach represents the cultural sector, as colorful blanket. This includes organizations of high art, such as galleries and symphonic orchestras, cultural forums and etc.

The mission of cultural and art organizations is to satisfy human spiritual and cultural needs.

The management of cultural and art organizations as well as their management subsystem, is quite multifaceted. That's why we should consider it in various aspects, and summarize the results by special classificatory.

As for the elements inside the system, they create horizontal and vertical rows; there are horizontal and vertical connections between them. Elements of one row create hierarchical levels in organization management.

These and other interesting questions are related to this article.

Key words: Culture and art organizations, labor resources, technology, management, current processes.

რეზიუმე

ნებისმიერი ორგანიზაცია რაღაცა მიზნის მისაღწევად იქმნება. კულტურისა და ხელოვნების ორგანიზაციებს გააჩნიათ სპეციფიკური მიზნები, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციასთან, პრეზენტაციასთან, გავრცელებასთან ან განათლებასთან. ეს პრაგმატული მიდგომა წარმოადგენს კულტურის სექტორს, როგორც ჭრელ საბანს. ეს მოიცავს მაღალი ხელოვნების ორგანიზაციებს, როგორიცაა გალერეები და სინთონიური ორკესტრები, მასობრივი კულტურის ფირმები და სხვა. კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციათა მისია

არის ადამიანთა სულიერი და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

კულტურისა და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების მენეჯმენტი როგორც მისი მმართველობითი ქვესისტემა, საქმაოდ მრავალნახნაგვანია. ამიტომ იგი მრავალ სხვადასხვა ასპექტებში უნდა განვიხილოთ. მათი შედეგების შეჯამება კი სპეციალური კლასიფიკატორით უნდა მოხდეს.

რაც შეეხება სისტემის შიგნით არსებულ ელემენტებს, ისინი ქმნის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ რიგებს, რომელთა შორის არსებობს ასევე ჰორიზონტალური და ვერტიკალური კავშირები. ერთი რიგის ელემენტები კი ქმნიან ორგანიზაციის მართვაში იერარქიულ დონეებს. ამ და სხვა საინტერესო საკითხებს ეხება აღნიშნული სტატია.

საკვანძო სიტყვები: კულტურისა და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციები, შრომითი რესურსები, ტექნოლოგია, მენეჯმენტი, მიმდინარე პროცესები.

ორგანიზაცია ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საქმიანობა შეგნებულად კორდინირდება და რეგულირდება ერთი ან რამდენიმე მიზნის მისაღწევად.

საქართველოში ორგანიზაციები ითვლებიან იურიდიულ პირებად. ისინი რეგისტრირდებიან სტატისტიკის დეპარტამენტში და შემოსავლების სამსახურში (როგორც გადასახადის გადამხდელები). მათ გახსნილი აქვთ ანგარიშები ბანკში, აქვთ წესდება, ბეჭედი, იურიდიული და ფაქტიური მისამართი.

ორგანიზაციებს მიეკუთვნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, ამხანაგობები, კოპერატივები, ინდივიდუალური მენეჯმენტი, სააქციო საზოგადოებები, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და მათი ფილიალები და წარმომადგენლები.

ჩამოთვლილი სტატუსები შეიძლება ჰქონდეთ: თეატრებს, კინოთეატრებს, კინო და ფოტო-სტუდიებს, მუზეუმებს, სახლ-მუზეუმებს, საკონცერტო დარბაზებს, კულტურის სასახლეებს, კულტურის ცენტრებს, შემოქმედებით მუშაკთა სახლებს, ბიბლიოთეკებს და ა. შ.

ნებისმიერ ორგანიზაციას, მათ შორის კულტურისა და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების ერთ-ერთი დამახასიათებელი საერთო ნიშანი ის არის, რომ მათი არსებობისათვის აუცილებელია რესურსების განსაზღვრული ოდენობა. ძირითადი რესურსები, რომელთაც იყენებს ორგანიზაცია შემდეგია: ადამიანები, ე. ი. შრო-მითი რესურსები, კაპიტალი, მასალები, ტექნოლოგია და ინფორმაცია. საჭიროა რესურსების მართვა სათანადო დონეზე ორგანიზაციის მიზნის ან მიზნების მისაღწევად.³¹

ასე რომ, ორგანიზაცია არის არა მარტო მისი შემადგენელი ნაწილების უბრალო ერთობა, არამედ სისტემური ერთიანობა, რომელსაც ახასიათებს: მთლიანობა, სტრუქტურირება, სტრუქტურის და გარემოს ურთიერთკავშირი, იერარქიულობა, აღნერის სიმრავლე, მრავალფეროვნება.

მთლიანობა ნიშნავს სისტემის და მისი თითოეული ელემენტის თვისებათა ერთიანობას, დარღვევების, გაყოფის შეუძლებლობას.

სტრუქტურირება ნიშნავს აღნერას მისი სტრუქტურის თვისებებით და არა მისი ცალკეული ელემენტების ქცევით;

გარემოს და სტრუქტურის ურთიერთდა-მოკიდებულებაში იგულისხმბა გარემოსთან ურთიერთობისას სისტემაში თვისებების გამოყენება და ფორმირება.

იერარქიულობა ნიშნავს იმას, რომ სისტემის თითოეული ელემენტი შეიძლება განხილული იყოს როგორც დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც გლობალური სისტემის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს.

აღნერის მრავალფეროვნებაში იგულისხმება სისტემის მაკროსკოპიული, მიკროსკოპიული, იერარქიული, ფუნქციონალური და პროცესუალური წარმოდგენა.

კულტურისა და ხელოვნების სფეროში ორგანიზაციის სისტემური მიღებით მართვის მოდელი შეიძლება ასე განისაზღვროს:

1. კონცეპტუალური — როცა იგი განიხილება ინტექტუალური საქმიანობის მართვის სისტემის მოდელის როლში;

³¹ გ. შუბლაძე, ბ. მლებრიშვილი, ფ. წონქოლაური. „მენეჯმენტის საფუძვლები.“ თბ., 2008. გვ. 26.

2. ემპირიული, როცა განიხილება კონკრეტული ორგანიზაციია;

3. ადამიანი-მანქანა, როცა მართვის კონტურში ჩართულია ინფორმაციის შენახვის და დამუშავების კომპიუტერული სისტემა;

4. დახურული ან ღია — ეს დამოკიდებულია იმაზე როგორი ინფორმაცია გამოიყენება (ღია თუ დახურული), როგორია გადასაწყვეტი ამოცანები და კავშირი გარე სამყაროსთან;

5. დროითი, როცა ორგანიზაცია გარკვეული ვადით იქმნება, ანდა პერიოდულად მასში ხდება ფორმალური და არაფორმალური ცვლილებები.³²

ორგანიზაციის მართვის სისტემა შედგება ცალკეული ქვესისტემებისაგან, რომელთაგან თითოეული შეიძლება თვითონაც რაღაცა სისტემად აღინიროს, თუმცა მასში შეიძლება გამოიყოს ისეთი კომპონენტები, რომლებიც ორგანიზაციის იერარქიის უმდაბლეს დონეზე არსებობენ.

როგორც აღვნიშვნეთ ორგანიზაცია რაღაცა მიზნის მისაღწევად იქმნება. ამ მიზნის მიღწევის გზაზე პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება. ამ გადაწყვეტილებებში კი ერთმანეთთან კავშირში მყოფი მენეჯერები და სპეციალისტები იღებენ.

რაც შეეხება კულტურისა და ხელოვნების ორგანიზაციებს, მათ გააჩნიათ სპეციფიკური მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციასთან, პრეზენტაციასთან, გავრცელებასთან ან განათლებასთან. ეს პრაგმატული მიდგომა წარმოადგენს კულტურის სექტორს, როგორც ჭრელ საბანს. ეს მოიცავს მაღალი ხელოვნების ორგანიზაციებს, როგორიცაა გალერეები და სინფონიური ორკესტრები, მასობრივი კულტურის ფირმები, როგორიცაა უზარმაზარი გასართობი კომპანიები, თვითშემოქმედების და ფოლკლორული ჯგუფები, რომლებიც ტრადიციული კულტურის ნაწილია.³³

როგორც ცნობილია, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების მენეჯმენტი როგორც მისი მმართველობითი ქვესისტემა, საკმაოდ მრავალწახნაგოვანია. ამიტომ იგი მრავალ სხვადასხვა ასპექტებში უნდა განვიხილოთ. მათი შედეგების შეჯამება კი სპეციალური კლასიფიკატორით უნდა მოხდეს.

³² М. П. Переверзев, Т. В. Косцов. „Менеджмент в сфере культуры и искусства.“ М., ИНФРА-М. 2015, стр. 20

³³ ხიპ ჰაგორტი. „სახელოვნებო მენეჯმენტი.“ ანტრეპრენიორული სტილი. თბ., 2013. გვ. 12

ორგანიზაციასა და გარემოს შორის ურთიერთკავშირი. ნებისმიერი ორგანიზაცია ფუნქციონირებს განსაზღვრულ გარემოში. გარე გარემო მეტად რთულია. ეს არის მრავალრიცხვანი პირობები და ფაქტორები, რომლებზეც ორგანიზაციამ რეაგირება უნდა მოახდინოს.

გარე გარემოს ახასიათებს ცვლილება. ეს ცვლილება მეტად სწრაფია. ორგანიზაცია ვალდებულია მიესადაგოს ამ ცვლილებებს.

გარე გარემოს ახასიათებს გაურკვევლობაც. ამას იწვევს ინფორმაციის სიმრავლე და არასანდობა. თუ ინფორმაცია ზუსტია და სანდო, მაშინ გარემო ნაკლებ გაურკვეველია.

მართვის სუბიექტსა და ობიექტს შორის კავშირი. სისტემური მიდგომის მეთოდოლოგიის შესაბამისად, როგორც ზევით ალვინიშნეთ, სისტემა შეიძლება განვიხილოთ მიკროსკოპულ, მაკროსკოპულ, იერარქიულ, ფუნქციონალურ და პროცესუალურ ასპექტებში. სისტემის მაკროსკოპული განხილვა გვიხსნის ორგანიზაციის კავშირს გარე გარემოსთან და გვაძლევს მისი მართვის ეფექტუალურობის შეფასების შესაძლებლობას. რაც შეეხება მის მიკროსკოპულ განხილვას იგი გვიჩვენებს ორგანიზაციის მართვის სუბიექტსა და ობიექტს შორის კავშირებს. მართვის ობიექტი არის სამართავი ქვესისტემა, სუბიექტი კი მმართველი ქვესისტემა. მათ შორის პირდაპირი და უკუკავშირი არსებობს. შუბიექტი აძლევს „კომანდებს“ ობიექტს რაიმე მოქმედების შესასრულებლად, უკან კი იღებს ინფორმაციას მის შესრულება — არ შესრულებაზე. ამ დავალებების ფაქტიური შესრულება გვიჩვენებს თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს მენეჯმენტი ორგანიზაციაში.

რაც შეეხება ორგანიზაციის ემპირიულ და კონცეპტუალურ მოდელს, იგი შეიძლება აღინიროს 5 საბაზო ელემენტით. ესენია:

1. გარე გარემო;
2. ორგანიზაციის რესურსები;
3. მიზანი(მისია);
4. ორგანიზაციული სტრუქტურა;
5. ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლი.³⁴

ამ ელემენტების ფორმალიზაცია „მონესრიგებული ხუთეულის“ პრინციპით ორგანიზაციის მოდელის აგების და მის მენეჯმენტში მიმდინარე პროცესების უფრო ღრმად გამოკვლევის საშუალებას იძლევა. დასახელებული პრინციპი გულისხმობს ორგანიზაციის ჩვენს მიერ

დასახელებული ხუთი ელემენტს შორის ურთიერთკავშირის მხედველობაში გათვალისწინებას, რომლებიც მენეჯმენტის როგორც ორგანიზაციის მართვის შემდეგი სისტემის ფორმალური ლოგიკის დადგენაში გვეხმარებია.

ორგანიზაცია, როგორც სისტემა — S, შედგება S₀ — სტრუქტურული ელემენტებისაგან, ისინი ქვესისტემებად იწოდებიან. S₀ ელემენტების სიმრავლე ქმნის ქვესისტემების ელემენტარულ ბაზას:³⁵

$$S \in S_0 \text{ ხოლო } S \in E_0$$

\hat{S} სისტემის გარეთ გარემო წარმოადგენს მის გარშემო ყოფილ მიზანის სისტემას, რომელთა თვისებები არა მხოლოდ გავლენას ახდენენ სისტემაზე, არამედ თვითონაც განიცდიან მის ზეგავლენას. ამ კავშირის ფორმალიზება ასე შეიძლება.

$$\hat{S} = X \in Y$$

X — არის გარე გარემოდან სისტემაში შემავალი ობიექტების სიმრავლე;

Y — არის გარემოს სისტემის გარეშე ობიექტების სიმრავლე, რომლებზეც მოქმედებს სისტემა (მოცემულ შემთხვევაში ორგანიზაცია).

სისტემის რესურსები არის R სიმრავლიდან ის P — ობიექტები, რომელთა ცვლილება S სისტემის სტრუქტურული ელემენტების ცვლილების ეფექტიანობაზე არის დამოკიდებული, ანუ $R \in P$, ხოლო $S \in R$

ორგანიზაციის მიზანი მის მისაში დევს. კულტურის და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციათა მისია არის ადამიანთა სულიერი და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მიზნის ფორმალიზდება ბევრად არის დამოკიდებული თვით ორგანიზაციის ფორმალიზებაზე. ეკონომიკურ ამოცანებში მათემატიკური ფუნქციის ფორმალიზებაც საკმარისია, აქ კი, საჭიროა სოციო-კულტურული რანგის კრიტერიუმების დამატებაც.

შედეგად S ორგანიზაციის პრინციპული სტრუქტურა არის ისეთი S* მოდელი, რომელსაც განსაზღვრავს ურთიერთობათა სისტემა, რომელიც იერარქიის თითოეულ დონეზე პარამეტრებს აყალიბებს:

1. ორგანიზაციული სისტემის და მისი ქვესისტემის ელემენტარულ ბაზას: E₀, E₁, ..., E_n;

³⁴ М. П. Переверзев, Т. В. Косцов. „Менеджмент в сфере культуры и искусства.“ М., ИНФРА-М. 2015, стр. 25

³⁵ М. П. Переверзев, Т. В. Косцов. „Менеджмент в сфере культуры и искусства.“ М., ИНФРА-М. 2015, стр. 25

2. ორგანიზაციაში შემავალ ყველა ქვესისტე-
მას: $S_{01} \in E_0$, $S_{1i} \in E_1, \dots S_{ni} \in E_n$
3. ორგანიზაციის და მისი ყველა ქვესისტემის
გარე გარემოს:

$$\hat{S}_{0i} = X_{0i} \in Y_0, \quad \hat{S}_{1i} = X_{1i} \in Y_{1i}, \dots$$

$$\hat{S}_{ni} = X_{ni} \in Y_{ni}$$

4. თითოეულ ქვესისტემებს ელემენტებს შო-
რის და გარე გარემოსთან ურთიერთობის
სასიათს.

5. სისტემის თითოეულ იერარქიულ დონეზე
ელემენტების აგრეგირების წესს.³⁶

„მოწესრიგებული ხუთეულის“ ორგანიზაციის ფორმალიზაციის მეთოდი საშუალებას იძ-
ლევა სისტემური ანალიზის მეთოდოლოგიის სხვადასხვა ასპექტებით განვიხილოთ იგი და
დავაპროექტოთ გარე გარემოსთან დროში ადე-
ქვატური მისი მართვის ეფექტური სისტემა.
ცნება დრო იქნება პოლო საბაზო ელემენტი.
იგი დაახსაიათებს ორგანიზაციის სასიცოცხ-
ლო ციკლს.

კულტურისა და ხელოვნების სფეროში სა-
მენარმეო საქმიანობა მეტად აქტუალურია. აქ
ყველაზე მეტად გავრცელება პოვა ინდივი-
დუალურმა მენარმეობამ, ამხანაგობამ და სა-
ზოგადოებებმა. პირველს შეესაბამება ერთპი-
როვნული სანარმო (sole proprietorship), მეო-
რეს – პარტნიორობა (partnership), მესამეს
კორპორაცია (corporation).

ინდივიდუალური მენარმეობა ყველაზე მარ-
ტივი ფორმაა. ასეთ დროს არ იქმნება იურიდი-
ული პირი და ორგანიზაცია ატარებს ფიზიკური
პირის გვარს და სახელს. კულტურისა და ხე-
ლოვნების ბეგრ სფეროში ასეთ მენარმეს ლი-
ცენზია სჭირდება (მაგალითად, მუსიკაში, მხა-
ტვრობაში).

ამხანაგობა არის ორი ან ორზე მეტი ადა-
მიანის მიერ შექმნილი სამენარმეო ორგანიზა-
ცია, ისინი თვითონ, უშუალოდ მონაწილეობენ
საქმიან შესრულებაში. ამხანაგები სოლიდარუ-
ლად აგებენ პასუხს კონტრაგენტების წინაში.
ამხანაგობაში შენატანი შეიძლება იყოს ქონება,
მ.შ. პირველ რიგში ფული, მაგრამ შეიძლება
იყოს შრომითი საქმიანობაც.

საზოგადოება არის იურიდიული პირი, რო-
მელსაც ქმნიან მოქალაქეები ან იურიდიული
პირები რაიმე საქმის ერთობლივად შესასრუ-

ლებლად. ამხანაგობისაგან განსხვავებით სა-
ზოგადოება არ მოითხოვს დამფუძვნებლების
ადგილზე დასაქმებას. საზოგადოებას აქვს წე-
დება და სადამფუძვნებლო ხელშეკრულება.

საქართველოში სამი სახის საზოგადოების
დაფუძვნება შეიძლება. ესენია: სააქციო საზო-
გადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის სა-
ზოგადოება და სოლიდარული პასუხისმგებლო-
ბის საზოგადოება. მათ შორის ყველაზე გავრ-
ცელებულია სააქციო საზოგადოება.

სააქციო საზოგადოება არის ღია და დახუ-
რული. ორივე მათგანის საწესდებო კაპიტალი
ყალიბდება აქციების გამოშვებით და გაყიდ-
ვით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დახუ-
რული სააქციო საზოგადოება აქციებს ყიდის
მხოლოდ საზოგადოების შიგნით, ღია კი-თა-
ვისუფლად.

ამათ გარდა, არსებობს მუნიციპალური სა-
ნარმოები და სახელმწიფო კორპორაციული სა-
ნარმოები, მათ უნიტარული ორგანიზაციები
ეწოდებათ. ამ სახის სანარმოთა ქონება განუ-
ყოფელია. უნიტარული ორგანიზაციის ქონება
ეკუთვნის ან მუნიციპალიტეტს ან სახელმწი-
ფოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წონქო-
ლაური. „მენეჯმენტის საფუძვლები.“ თბ.,
2008
2. ხიპ ჰაგორტი. „სახელოვნებო მენეჯმენტი.“
ანტრეპრენიორული სტილი. თბ., 2013
3. M. P. Переверзев, T. V. Косцов. „Менеджмент в
сфере культуры и искусства.“ М., ИНФРА-М.
2015

³⁶ M. P. Переверзев, T. V. Косцов. „Менеджмент в сфере культуры и искусства.“ М., ИНФРА-М. 2015, стр.26